სახალხო გაზეთი

№ 338 სამშაბათი, 28 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 338

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის ამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

დ. ყვირილაში

„ხორაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 3.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆

◆ **დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

სანატორიუმი
და
საზაფხულო სამყოფი
ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.
მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.
მსურველთ ეგზავნებათ დაწვრილებითი ცნობები.
(10—660—7) მისამართი: ბორჯომით, პატარა ცემი ექიმს გ. ღამბაშიძეს.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—79)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქაქნიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 509.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეს და ღამეს.
სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
ფხვთაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ხაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.
ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
ხულპკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შინაგან. სადასტურო (წ.—1089—498)

დოქტორი მედიცინისა
ი. გ. ჩუდნოვსკი
გადავიდა
კიროჩნის ქუჩა სახ. № 18.
ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.
მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—7)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა ნაწყლებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის
ჯაჩეთის ქ. ტელეფონი N 816.

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—48)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.
კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.
უქმადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.
რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
ვეხელოვთზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა.. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.
კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—63)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.
ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
მ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. გ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606"-ით.
(წ. —1090—95)

ქუთაისში
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
შინაგან, სიბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—20)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა

ექიმი ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და პატარეინის ქუჩების კუთხე N 24 ი—85

ექიმი
კბილისა
ისიდორე ჭანტურია
გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიის ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68.
(თ.—1329.—17)

აბასთუმანში
კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—11)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

სურამში
კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა
ქარხნისა
ტფილისის განყოფილება
იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.
საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—33)

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტფ. ფუნიკულერის** აქციონ. საზოგადოებას 1909—10 წ. შემოსავალი ჰქონია—10,291 მანეთი, ხარჯი კი—11,436 მან. ასე რომ წაუგია 1145 მანეთი. წინა წლებთან ერთად სულ წაგება ჰქონია 14,806 მან.

◆ **სთფლე** ძლიერ გავრცელებულია ქალაქში. ეს სენი განსაკუთრებით გავრცელებულია ქალაქის ისეთ ნაწილებში, სადაც ღარიბი ხალხი სცხოვრობს.

◆ ქალაქში აუტანელი სიცხეები დგდგა. ორი დღის წინად, დილის 11 საათზე, ახალგაზდა ქალი სალომე ბაბანასოვისა ქმართან ერთად მიდიოდა ქუჩაზე. უეცრად მზემ დაჰკრა, წაიქცა და ცხვირ-პირიდან სისხლი წასქდა. ქალი ერთი საათის შემდეგ ძლივს მოაბრუნეს.

◆ **ილია ჭავჭავაძის** ძეგლის ასაგებად ქალაქის გამგეობამ გადასდო 300 მან. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ საქმისთვის მიიღო აგრეთვე ი. მანსვეტაშვილისაგან—100 მან. და გოგებაშვილისაგან—100 მან.

◆ რუსეთის ვაჭრობა ნაოსნობის საზოგადოების ტფილისში მყოფ აგენტს **ი. ზ. სულხანიშვილს** დ. ზ. სარაჯიშვილის კუბოს გვირგვინით შემკობის მაგიერ 35 მანეთი გადაუცია გაზ. „ზაკავკ. რეჩისათვის". რედაქციამ ეს ფული ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

◆ **ელექტრონის ტრამვაის დირექციამ** ბოლო ხანებში ვაგონების რიცხვი ძლიერ გაამრავლა; ეხლა 72 მაგივრად 89 ვაგონი მოძრაობს. საზღვარ-გარეთიდან კიდევ თხუთმეტიოდე ახალ ვაგონს მოელიან.

◆ რედაქციამ მიიღო ყოველკვირეულ ჟურნ. ლ **„კოოპერაციის"** მეორე ნომერი. ჟურნალში საყურადღებო წერილებია მოთავსებული. ტფილისში იგი იყიდება ლალიძის ბუფეტში (გოლ. პროსპექ.), ფასი ერთი შაური.

◆ გამოსახაზ აბრეშუმის პარკზე ფასმა 17 მანეთამდე აიწია ხონში, სამტრედიაში და ქუთაისში. სენაკსა, ზუგდიდსა და ხობში ფასი 15 მან. 50 არ ასცილებია. უკანასკნელ ადგილებში თუმცა არსებობს საზოგადო ბაზრები, მაგრამ როგორც ინსტრუქტორმა ბ. ქუთათელაძემ ადგილობრივ შეამოწმა, ეს ბაზრები ძლიერ სუსტად მოქმედებს, რადგანაც აქ ინტელიგენტური ძალები არ მოიპოვება, მაგალითად მასწავლებლები, სტუდენტები და სხვანი, რომელნიც დიდ სამსახურს გაუწევდნენ ხალხს პარკის აწონაში დაბაზრების ფასის თვალყურის დევნებაში. ხობში ერთ ფუთ პარკის აწონაში ერთის მაგივრად ოთხ კაპეიკს ახდევინებენ.

◆ **ქალაქის გამგეობის სატყეოსაბაღო კომისიამ** შეუმუშავებია სავალდებულო დადგენილებათა ახალი პროექტი ბაღებისა, ბაღჩებისა, ტყისა და ქუჩის მცენარეთა დასაცველად. ამ პროექტს საბჭოში განსახილველად სექტემბერში შეიტანენ.

◆ რადგანაც ბოლო ხანებში საქონელი ტფილისში ბლომად მორეკეს, გუშინ შესდგა საბჭოს კომისიის კრება, რომელმაც ნიხრს დაუკლო.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის აღმასრულებელმა შესაძლებლად ვერ სცნო ბათომის ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც საბჭოს ხმოსანი ს. გ. მდივანი, ბათომის ოლქის სამოქალაქო საქმეთა გამგეობის წევრად იქმნა არჩეული.

◆ სამოქალაქო საქმეთა სამმართველოს საქმით ნაწილში 1 სექტემბრამდე მეცადინეობა დილის 9 საათიდან 2 ს. მდე გაგრძელდება.

წვრილი ამბები

◆ 25 ივნისს, ვორონცოვის ძეგლთან ტრამვაის ვაგონი 93, რომელიც მოჰყავდა ვატმან შამრიკიძეშვილს, დაეჯახა იაგორ სტეფანოვის კიტრით დატვირთულ „ტაჩკას", რომელიც სრულიად დაამსხვრია. „ტაჩკაში" შებმული ჯორი დაშავდა.

◆ 25 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ერევნის მოედანზე, სახლი № 8, მდებარე საგანელიძის საკანდიტროში ფურნის ახლოს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

◆ 25 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ბანაობის დროს, მტკვარში დაიხრჩო ქუთაისის გუბერნიის სოფ. ბორის (რაჭის მაზრა) მცხოვრები ივანე ტარიელის ძე სირაძე.

◆ 25-სა და 26 ივნისს, საერთო ჩხრეკის დროს პოლიციამ 22 უპასპორტო შეიპყრო.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **წერა-კითხ. გამარც. საზოგადოების გამგეობის კრებაზე,** შაბათს, 25 თიბათვეს, დაადგინეს საქმის მწარმოებლად ხანის სასტატო სემენარიის მასწავლებელი გ. ბურჭულაძე მოიწვიონ.

◆ სამშაბათს, 28 თიბათვეს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში დანიშნულია ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება. კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

სასამართლო

◆ **„ხალხის"** რედაქტორის ზ. საფაროვის საქმე გუშინ გაირჩა ტფ. სასამართლო პალატაში. პალატამ საფაროვი გაამართლა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე შ. მესხიშვილი.

◆ გუშინ სასამართლო პალატამ გაარჩია **ი. გველესიანის საქმე,** რომელსაც არა ლეგალური ლიტერატურის შენახვა ბრალდებოდა. პალატამ მას ორი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ გუშინ სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე გ. ნამორაძისა და ნინა გლურჯიძისა, რომელთაც ს.-ფედერალისტთა პარტიის წევრობა ბრალდებოდათ. სასამართლომ ორივე დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა პირველს 4 წ. კატორღა, ხოლო მეორეს ციხისახლება.

რკინის გზაზე

◆ **სადგურ სამტრედიაში,** 26 ივნისს, საჩვენებელი მანქანის (სემაფორის) გაფუჭების გამო, მატარებელი № 305 დაეჯახა სადგურში მოვარჯიშე მატარებელს. ოთხი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა და დაზიანდა. ხალხი უვნებელია.

◆ **სადგურ საბუნჩაში.** 26 ივნისს მატარებლის № 38 წასვლის დროს, ალა-მიუსლუ-ოღლის მატარებელმა ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ნავთის მრეწველთა საზოგადოების საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **სად. ბაქო.** ნაშუადღევის 3 საათზე, ვაგონების მწმენდელს პრასკოფია მოგილკინას მზემ დაჰკრა; იგი გონებადაკარგული ვაგონიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა.

◆ **სად. აქსტაფაში.** 26 ივნისს, ღამით მომავალ ორთქმავალის ქვეშ, თავის მოკვლის განზრახვით, ჩავარდა გლეხი მიტროფანე ბარანოვი, რომელიც მატარებელმა მძიმედ დააშავა. დაშავებული აქსტაფის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

ქუთაისი

◆ გუშინ ეპისკოპოსმა გიორგიმ დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა.

◆ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებამ სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილის ოჯახობას და განსვენებულის დაკრძალვის დღეს, გაკვეთილების შეწყვეტით მიცვალებულის სულისმოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადოს.

◆ პოლიციის ქუჩის მცხოვრებთა დიდ ნაწილს ქალაქის გამგეობაში განცხადება შეუტანიათ, რომ იმათ ქუჩას დ. ზ. სარაჯიშვილის სახელი დაერქვას. ქართველობას ყველას მოუწერია ხელი ამ განცხადებაზე, ხოლო სომხებს ხელის მოწერაზე გადაჰკრით უარი უთქვამთ...

◆ როგორც დინამდვილებით გავიგეთ, საადგილ-მამულო ბანკის 60 რწმუნებულს განცხადება შეუტანია ზედამხედველი კომიტეტის სახელზე შესახებ იმისა, რომ მდგომარე წლის 15 ივლისამდე მოიწვიონ რწმუნებულთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა მოახდინოს ხელახალი არჩევნები გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის წევრთა. წარსულ არჩევნებს კი ისინი თურმე უკანონოდა სცნობენ.

◆ ექიმი დ. ი. ჯაფარიძე ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულ იქმნა რაჭის მ ზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. ამის გამო ის იძულებული შეიქმნა საქალაქო ექიმის თანამდებობისათვის თავი დაენებებინა. მის ადგილზე დაინიშნა ლეჩხუმის მაზრის ექიმი ე. ს. ხუნდაძე. („კოლხიდა").

◆ ერთი კვირაა გადის, რაც ქუთაისში აუტანელი სიცხეებია. სულის მობრუნება სჭირს. გარედ ჩრდილში რეომიური 25 გრადუსს უჩვენებს. ოთახში 17—16 გრადუსია. ღამითაც ჰაერი შეხუთულია. ეზოებში ბალახი სიცხისაგან გადახმა. ხალხი მეტად შეწუხებულია. ვისაც საშუალება აქვს გარბის სააგარაკო ადგილებში. მუშახალხი სოფლიდან იშვიათად ჩამოდის. სიმინდის ფქვილი ფუთი 80 კ. გახდა; მწვანილი ბოსტნეულისა გამოგაძვირდა.

ბათუ

◆ **ქალაქის მოურავმა ქალაქის უფროსსაც ნობა,** წელს საბჭოს კრე-

ბები იშვიათად ხდებოდა; საკითხი, ქალაქის სასარგებლოდ თეატრებსა და გასართობებზე გადასახადების შემოღების შესახებ, არ განხილულა და ამიტომ ვერავითარ დადგენილებას ვერ წარმოგიდგენთ.

◆ კვირას, 26 ივნისს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზ. ბაქოს განყოფილების სკოლაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა.

ხონი

◆ ამ უკანასკნელ ხანებში საშინელი სიცხეებია. სიცხეების გამო ადამიანი გარედ ვერ გამოსულა. სიცხეები დიდად ვნებს აბრეშუმის ჭიას, რომელიც ეხლა პარკს აკეთებს. საშინელი გვალვებია. ცუდი ამინდის გამო ყანის გამარგვლაც გასჭირდა. სიცხემ ბალახი და სიმინდი გააყვითლა.

სოხუმი

◆ **„კოლხიდა“-ს სიტყვით** ქალაქის საბჭოს რამდენიმე საჩივარი შეუტანია ადგილობრივ საქალაქო საკრებულოში შესახებ იმისა, რომ 31 მაისს თავ. ალ. შარვაშიძე უკანონოდ იყო არჩეული სოხუმის ქალაქის მოურავადო.

მაჰმადიანთა ცხოვრება

◆ მთავრობამ დაამტკიცა **ნუხის მაჰმადიანთა შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზ. წესდება.** ამ დღეებში ამ საზოგადოების წევრთა პირველი საზოგადო კრება მოხდება.

◆ პირველ ივლისიდან **ბაქოში** გამოვა ახალი ყოველ-დღიური გაზეთი თათრულს ენაზე—„მალუმატ“ „(ცნობანი“). გაზეთს იუმორისტული დამატებაც ექნება. გაზეთს რედაქტორობს ჰაჯი იბრაგიმ ყასიმოვი.

პროვინცია

◆ **ახალციხე.** 15 ივნისიდან აბასთუმანსა და ბორჯომს შუა **ავტომობილებმა მიმოსვლა იწყეს.** მაგრამ მარცხი ხშირად მოსდით. ჯერ 10 დღის განმავლობაში ორი კაცი მსუბუქად და ერთი ცხენი მძიმედ დააშავა. მიზეზად გზის სივიწროეს ასახელებენ. ცდილობენ გზის გაფართოებას. თითო მგზავრს 8 მ. ახდევინებენ აბასთუმნიდან ბორჯომამდე და ბორჯომიდან ახალციხემდე—5 მან. ეტლით კი ნახევარ ფასად შეიძლება მგზავრობა. თუ არ გააიაფეს ახალციხელი კაცი ვერ იმგზავრებს ავტომობილით. ბარგში ფუთზე 1 მან. 25 კაპ. იღებს ავტომობილი ბორჯომიდან აბასთუმნამდე.

◆ როგორც გავიგეთ, ბორჯომის ხეობაში, ძველი ციხე-ეკლესიების **წარწერიან ქვებს** აცლიან კედლებიდან და თან მიაქვთ ვიღაც **უცხო კაცებს.** საჭიროა, ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ მიიღოს ზომა, რომ ვერა ბედავდნენ უცხო მოგზაურნი ჩვენი მამა-პაპეულის ნაშთების გაზიდვასა.

◆ 12 წლის ყმაწვილს, იაკობ მანველიძეს, მდ. ფოცხოვში, ორი დღის დამხრჩვალი კაცის გვამი უპოვნია ცურაობის დროს ღრმა მორევში და ნაპირას გამოუტანია. ამავე ყმაწვილს მაისში, ვიღაც 10—12 წლის ყმაწვილიც გადაურჩენია ბანაობის დროს დახრჩობისაგან. მაისში მოსულ თოვლს ჯავახეთსა და ახალციხის მთებზე 30,000 სული ცხვარი გაუწყვეტია.

◆ **სარდარის** (ერევნის გუბერნია) სახაზინო ბაღების გამგისათვის, მიწათმოქმედ დეპარტამენტს მიწერილობა გაუგზავნია, შეაგროვოს 15 ფუთი თეთრი თუთის თესლი, რუსეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებისათვის და კერძო პირთათვის გასაგზავნად.

◆ ბორჩალოს მაზრაში წყალდიდობის გამო 136 სული მსხვილფეხა საქონელი დაღუპულა. წვრილ ფეხა საქონელიც ბევრია დაღუპული.

◆ **ხად. სანგაჭალაში** საფოსტო მატარებელში № 2, სიცხის გამო უეცრად გარდაიცვალა 25 წლის ნიკოლოზ ტუტურინი, რომლის გვამიც შემოწმების შემდეგ ბაქოში გაგზავნეს.

◆ **ხად. ქეჯამში** (ბაქოს გზა) 26 ივნისს რკინის გზის სადგურზე სოფელ იუხარის მცხოვრებმა მაჰმედ ადიგეზალ-ოღლიმ ხანჯლით დასჭრა თავისი მეზობელი, ალი ქერმალაი რამაზან-ოღლი, მოსჭრა ცხვირი, ტუჩები და მარცხენა ხელის თითები. დახმარება ადგილობრივმა ექიმმა გაუწია.

ჟურნალისტის დღიური

28.

გარყვნილება.

გარყვნილება ბევრნაირია. ყველა უზნეო საქციელს რომ გამოედევნოს ადამიანი, ძალიან შორს წაიყვანს. მაგრამ როდესაც გარყვნილების საგნად პრესა ხდება, მაშინ კი აღარ შეიძლება დაჩუმება. რედაქციამ მიიღო ქ. ქუთაისში გამოსული ალმანახი „ნემსი“, რომლის გამომცემლად ითვლება ვინმე დ. პეტმალდიანცი და სარედაქციო ნაწილის ხელმძღვანელად კი, როგორც წერილებიდანა სჩანს, ასკანელი პროკოფია. ეს ის ასკანელი პროკოფია გახლავთ, რომლის წერილიც ამ რამდენისამე ხნის წინად გამოვაქვეყნეთ. ასკანელ პროკოფიას ვიღაცის ჯავრი სჭირს (ეს „ვიღაცა“ თურმე ჩემი კარგი მეგობარაც ყოფილა,—არ ვიცოდი). ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა სალანძღავი წერილი, მაგრამ არ დაბეჭდა. გამწარებულ ასკანელ პროკოფიას „კოლხიდის“ რედაქციისათვისაც მიუმართავს, მაგრამ მასაც უარი უთქვამს. რომ ვერსად გამხდარა, „თემი“-ს რედაქციისათვის გაუგზავნია, მაგრამ როდესაც იმისაგანაც უარი მიუღია, თავის საკუთარი ალმანახი გამოუცია. ასეთია მოკლედ ისტორია ალმანახ „ნემსი“-ს წარმოშობისა.

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ ამნაირს პირადულ ნიადაგზე აღმოცენებული ალმანახი ჭრების მეტს არაფერს მოუტანს საზოგადოებას, მაგრამ მის გადათვალიერების შემდეგ ერთი-ორად უფრო ცხადი ხდება ეს მკითხველისთვის. თავის „მეთაურს“ „ნემსი“ ამნაირის სიტყვებით იწყებს: „ძვირფასო დებო და ძმებო, ბიძანო და ბიცოლანებო და სხვ.“ ეს ვითომ იუმორია! თავის მრწამსს ამნაირად აცნობს მკითხველებს: „დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნოთ, ალმანახი „ნემსი“ არ დაივიწყებს არც „შანტეკლერით“ შებორკილ ქალებს, და არც ზოგიერთ იმ ქარაფშუტა პოეტებს, რომლებიც განდიდების ტრფიალებით მთვრალნი სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან“. მაშ ასე, შანტეკლერები და ზოგიერთი პოეტები. ეს „ზოგიერთი პოეტები“ ბ-ნი ნ. ჩხიკვაძე გახლავთ. ჩხიკვაძეს საწინააღმდეგოთაა გამოსული მთელი ალმანახი,—რათა? ყური დაუგდეთ თვით ასკანელ პროკოფიას: „ჩემო ძამია ნოე, პოეტი კი ხარ მარა, მაინც ვერ მოგერიდები, პირში უნდა გითხრა ჩემი სათქმელი: შე კაცო, შენისთანა დარბაისელ პოეტს, ისიც „მზის ასულის“ ავტორს, ისეთი „კუტი“ რაფერ უნდა მოგივიდეს, რომ თავი ვერ შეიკავო?! შე დალოცვილო რაღა მუშტებით ქექაცინები გალახვას?! კალამი შენს ხელშია, მუზა შენ გწყალობს და „სახალხო გაზეთი“ და მეტი იარაღი განა გინდა ჩემთან საბრძოლველად?! ან კიდევ ყური დაუგდეთ, რა ხელი-ხელ საგოგმანებელ ქართულითაა დაწერილი შემდეგი სტრიქონები იმავ ნ. ჩხიკვაძეზე: „პარასკევს, 24 ივნისს სტამბაში, ცნობილმა პოეტმა ნ. ჩხიკვაძემ (?) თავს დაეცა „ნემსი“-ს რედაქტორ-გამომცემელს. თავზე დასხმამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ „მგოსანმა“ (?) რაკი თვე ციხე დაპირდა რედაქტორს. ეტყობა ბ-ნ ნ. ჩხიკვაძეს წინდაწინვე უგრძვნია „ნემსის“ წაჩხვლეტის ტკივილი“.

ამისთანა მარგალიტებითაა სავსე ასკანელ პროკოფიას ალმანახი. სერიოზული კამათი ამისთანა ჟურის კალმოსნებთან ჩვენი და საზოგადოდ პრესის ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია, მაგრამ აღნიშვნა მაინც საჭიროა. დაე, იცოდნენ მკითხველებმა, რანაირი გარყვნილება შეაქვთ ამისთანა კალმოსნებს პრესაში, იცოდნენ, რომ მოერიდონ, როგორც საშინელ სენს. პირად ანგარიშებით გატაცებული კალმოსნები ყოველთვის იქნებიან, მაგრამ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს თავისი ავტორიტეტულის პროტესტით ყოველთვის შეუძლიან ბოლო მოუღოს ამ გარყვნილებასა.

შინაური.

დ. ზ. სარაჯიშვილის დაკრძალვა

კვირას, 26 ივნისს, ტფილისს არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა. უკვე დილის ცხრა საათისათვის ერევნის მოედანი და ახლო-მახლო მდებარე ქუჩები ხალხით გაივსო. 9 საათზე ცხედარი საკუთარი ბინიდან გამოასვენეს, აუარებელი გვირგვინები მწყობრად მიჰქონდათ წინ, მათ მისდევდნენ ამქრები დროშებით, მგალობელთა გუნდები და სხვა.

წირვა და პანაშვიდი შესრულებულ იქმნა რუსულ-ქართულად ეპისკოპოსებისა ლეონიდისა და პიმენის მიერ სამღვდელოების თანამწირველობით. გალობდა ორი ქართული და ექსარხოსის რუსული ხორო. ანდერძის აგების წინ სიონის ტაძარში სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ლეონიდმა. სიონის ტაძრიდან თავანდილი კუბო სამგლოვიარო ეტლით ერევნის მოედანზე მოასვენეს. აქ სიტყვები წარმოსთქვეს: სათათბიროს წევრმა კ. ჩხეიძემ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ა. ხიჭაყამმა და ტფილისის გამგეობის წევრმა ა. არღუთინსკიმ.

ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებასთან სიტყვები წარმოსთქვეს: აკაკიმ, ალ. მდივანმა—წერა-კითხვის საზოგადოების მხრივ და სემინარიის ინსპექტორმა.

ვერის დაღმართზე სიტყვა წარმოსთქვეს: ა. ჩხენკელმა, ს. მდივანმა, ვაჭართა წარმომადგენელმა ს. მერკვილაძემ.

ძმ. ზუბალაშვილების სახლთანაც გარდახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი. სამარეზე სიტყვები წარმოსთქვეს: დეკანოზმა თალაქვაძემ, თ. ვ. ა. თუმანიშვილმა, ქუთაისის თავად-აზნაურობის მხრივ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა თავ. გეგეჭკორმა, რომელმაც აგრე დაამთავრა: „ჩვენ ქუთაისის თავად-აზნაურობის მხრივ შეგამკეთ გვირგვინით, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს გვირგვინს იმასთან, რომლითაც შენ დაგვაგვირგვინე ჩვენ და საქართველ“-ო...

ნაშუადღევის ოთხ საათზე სასიქადულო ადამიანი მიწას მიაბარეს. წესიერება გამგე-კომიტეტი დაუღალავ ენერგიის წყალობით, ყველგან საუცხოვო იყო.

მსვლელობას თან დაჰყვებოდა უკან ცივი წყლით სავსე ბოჩკები; დიდუბის ეზოში კი უფასოდ სასმელი ხილის წყლები იყო მსურველთათვის დამზადებული.

არ დარჩენილა კავკასიის არც ერთი კუთხე, საიდანაც წარმომადგენელი და გვირგვინი არ ყოფილიყო.

გვირგვინები ვერცხლისა 29 იყო, საერთოდ კი 150 აღემატებოდა. საწუხაროდ, წარმოთქმულ სიტყვებს ვერა ვბეჭდავთ.

გვირგვინები, სხვათა შორის, იყო შემდეგ პირთა და დაწესებულებათაგან:

1. ტფილისის ქარხნის მუშებისაგან.
2. ფილიპე, მუხაზა, ვანო და გიორგი; ზედ წარწერით: მშრომელთა მფარველს და ღარიბთა ნუგეშს.
3. დილმის გლეხობისაგან თავთავის გვირგვინი: ძვირფას და დაუვიწყარ კეთილ მოამაგეს.
4. ღვინით და არყით მოვაჭრე ამქრისაგან.
5. ლაღიძისა და ამხ.
6. „განათლების“ საზოგადოება.
7. ლილოელებისაგან.
8. ქალაქ გორის ქართველ საზოგადოებისაგან: განათლებულ მეცენატს და სამაგალითო ქველმოქმედს.
9. ქ. ქალთა ამხანაგობის კრაკერვის სკოლისაგან.
10. ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან: სასიქადულო მამულიშვილს.
11. „ზაკავკ. რეჩი“-[illegible]ლობის უანგარო თაყვანისმცემელს და მის მეგობარს.
12. ერთგულ ანდრიასაგან: არარაობისაგან ადამიანად გარდამქნელს.
13. ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბ. თავად-აზნ. საზოგადოებისაგან.
14. ტფილისის სასულიერო სემინარია.
15. ამხანაგობა „ობოროტი“-საგან: კომერსანტ-ჯენტლმენს.
16. კახელ მევენახეთა საზოგადოებისაგან: ქართულ მრეწველობის მამათ-მთავარს.
17. ქართ. დრამ. დასისაგან: ხელოვნების ქომაგს და უხვს ქველმოქმედს.
18. ერევნის ქარხნის მუშებისაგან.
19. მთავარ კანტორიდან.
20. ბაქოს კონტორის მუშებისაგან.
21. ქ. ტფილისისაგან: სამაგალითო მოქალაქეს და უხვს ქველმოქმედს.
22. სიღნაღის ქართულ საზოგადოებისაგან.
23. წ. კ. საზოგადოებისაგან: დამფუძნებელ წევრს, სწავლა-აღზრდის მხურვალე ქომაგს. და სამაგალითო ქველმოქმედს.
24. საისტორიო და ეტნოგ. საზოგად.: სასიქადულო ქართველს და მეცნიერების საუკეთესო ქომაგს.
25. ქ. დრამატ. საზოგადოებისაგან: დამფუძნებელ წევრს და ხელოვნების მეცენატს.
26. რამოდენიმე ფრანგ და გერმანელ ფირმებისაგან და ნაცნობთაგან.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო დეპეშები

რედაქციამ მიიღო შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები:

1) **სამტრედიიდან**—ვარდენ ყიფიანისა და სხვათაგან.
2) **ხონის** წერა-კითხ. გამ. საზ. განყ. თავმჯდომარის ქიქინაძისაგან.
3) **ქუთაისი**—ქალაქის სამმართველოს მსახურთაგან.
4) **სამტრედიიდან**—დაბა სამტრედიის ვაჭრებისგან.
5) **ქუთაისიდან**—უმაღლეს სასწ. მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების მმართველობისაგან.
6) **ქუთაისიდან**—ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოების მონდობილობით თავმჯ. ქილაძისაგან.
7) **ახალ-ქალაქიდან.** ახალ ქალაქის ქართველებისგან.
8) **ხონიდან** ხონის საზოგადოებისაგან.
9) **სურამიდან.** სურამელ ქართველ საზოგადოებისაგან.
10) **ალაგირიდან.** ალაგირის ქართველებისგან.
11) **ხონიდან.** ხონის მოვაჭრეთაგან.
12) **პეტერბურგიდან.** ს. ჯაფარიძე და ვარლამ გელოვანისაგან.
13) **ქუთაისიდან.** მუშებისა და ნოქრებისაგან.
14) **სამტრედიიდან.** წ. კ. გამ. საზ. განყ. გამგეობისგან.
15) **ყაზბეგიდან.** მცხოვრებთაგან.
16) **ოზურგეთიდან.** ნიკოლოზ ცეცხლაძისგან და სხვ.
17) **სიღნაღიდან**—ქიზიყელისაგან.

ფოთიდან საგანგებოდ ჩამოსულმა დეპუტაციამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: ქალაქის თავის მოადგილე ი. მეუნარგია, მღვდ. მელ. კელენჯერიძე და ქალაქის ხმოსანი კ. გიგინეიშვილი, განსვენებულის დ. სარაჯიშვილის ოჯახობას განუცხადა სამძიმარი ფოთის ქალაქის და ფოთისავე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების სა-

მიწის მოსავლიანობა საქართველოში

1

(ვუძღვნი პეტრე ავალიანს).

ჯერ-ჯერობით ჩვენი კეთილდღეობა,, ჩვენი ავი და კარგი ჩვენს მიწაშია. მხოლოდ მიწა ასაზრდოებს ჩვენს ხალხს. მაშასადამე, მიწის მოსავალზე, ამ მოსავლის რაოდენობაზე და ხასიათზეა დამოკიდებული ხალხის ცხოვრება. მაგრამ მიწის მოსავლიანობა ბევრ მიზეზებზეა დამოკიდებული, მოსავლიანობა ძლიერ ცვალებადი რამ არის. იგი დამოკიდებულია თვით ნიადაგის თვისებაზე და ჰავაზედ და სხვა ბუნებრივ მოვლენაზე. ამას გარდა მიწა, რომელსაც მუდმივ, შეუსვენებლად ამუშავებენ, თანდათან იღლება და ნაკლებ მოსავალს იძლევა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მშრომელს, ვერ უბრუნებს დახარჯულ შრომას, მასალას და სხვას. მეურნე ძლიერ მჭიდროდ არის დამოკიდებული ამ მოვლენებზე. მუშა-მეურნე დღეს აღარ არის ყრუ მონა-მორჩილი სტიქიონებისა და უცაბედი მოვლენებისა. დაწინაურებულ ერებში მეურნე მძლავრი და ღონიერი ადამიანი არის, მას იმდენად აღარ ეშინიან სტიქიონურ და მიწის გარშემო არსებულ ძალებისა, ივი თავიდან ბოლომდე შეიარაღებული ებრძვის მიწას და მისი მოსავალი, მოსავლის ხასიათი და რაოდენობა სრულებით მეურნეს ცოდნისა და მოხერხებაზეა დამოკიდებული.

მძლავრი სამეურნეო ცოდნა განათლებულ მეურნეს ისეთ თამამ და ამაყ მყომრად ზრდის, რომ მას არაფრისა არ ეშინიან. მართალია, დასავლეთ ევროპაში შემცირდა მიწის სივრცე, სახნავ-სათესი, საბალო, საბოსტნე ადგილები, მაგრამ მიწის სივრცის შემცირებას ავსებს მიწის ძლიერ დიდი და უხვი მოსავლიანობა. ჩვენი მეურნე კი სრული მონა და მორჩილია გარეგან პირობების, სტიქიონისა. იგი შეჰყურებს მიწას სასოებითა და თუ ბედმა გაუღიმა—იგი ბედნიერია. ჩვენი მეურნე უფრო ბედის, იღბალის შემყურეა. იგი გულის ფანცქალით უცდის ბუნების ცვლას და უძლურია რაიმე იმოქმედოს. უვიცობა, სიბნელე, უძველესი ტრადიცია—აი რა სტანჯავს ჩვენს მეურნეს.

ამის გამო ჩვენი მიწის მოსავალი, დღითი-დღე კლებულობს, ფუჭდება, და ხალხი სილარიბისაკენ მიექანება. დღითი-დღე მატულობს მცხოვრებთა რიცხვი, კლებულობს მიწის სივრცე, მაშასადამე, ჩვენ მიუახლოვდით იმ დროს, როდესაც დაბალის, გამოფიტულის მიწის რაოდენობა ველარ დააკმაყოფილებს მუშის უმცირესს მოთხოვნილებას. ჩვენი მეურნეობა უნუგეშო მდგომარეობაშია, ჩვენი მეურნე ბრმაა, სხვაგან მეურნე შეიარაღებულია. ჩვენში ეკონომიურ ცხოვრების დედა-ძარღვის დაცემა სამშობლოს საერთო უბედურებაა და მას შველა სჭირია. რას ვაკეთებთ ჩვენ? ყველამ კარგად იცის, რამდენად განდევნილი და უყურადღებოდ დატოვებულია ჩვენში სამეურნეო სწავლა-განათლება.

ვინ არ იცის, თუ რა განსაცდელშია ქუთაისის სამეურნეო სკოლა, რომლის ქონება მოვალეებმა უნდა წაიღონ. იღუპება ძლიერ საჭირო დაწესებულება, რომელთა რიცხვი უნდი მრავლდებოდეს და არა მცირდებოდეს. ჩვენი საზოგადოება კი გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებს ამ საქმეს. სანამდის ჩვენს სოფელს სამეურნეო ცოდნა არ მოეფინება, მანამდე არაფერი არ გვეშველება. მამა-პაპური ცოდნა, უძველესი ტრადიცია დღეს აღარ ვარგა; თუ სამეურნეო ცოდნამ, რომელიც დღეს სასწაულებს ახდენს, ფეხს არ მოიკიდებს ჩვენში და მის საჭიროებას არ შევიგნებთ, მანამდე არაფერი არ მოხდება და ჩვენი სილარიბე, სოფლის მცხოვრებლების სილატაკე თანდათან გაიზრდება.

ძლიერ დიდ გასაჭირშია ჩვენში მკვლევარი, რომელსაცა ჰსურს გამოიკვლიოს ჩვენი მეურნეობის, ჩვენი სოფლის ინდუსტრიის მდგომარეობა რადგან, ჩვენ არ მოგვეპოვება მოვლენის დამახასიათებელი მასალა. ამაზე ბევრჯელ გამოგვითქვამს წუხილი წინანდელ წერილებში და თუ ვიმეორებთ მხოლოდ იმიტომ, რომ პირზე ლაპარაკს დასასრული არ უნდა ჰქონდეს. მუდმივ უნდა ვიმეოროთ, რომ არ დაგვავიწყდეს, რაც გვიჭირს.

შეიძლება მკითხველს ეგონოს, რომ მასალების თაობაზე განგება ვცდილობთ უნუგეშო სურათის წარმოდგენას. მივმართოთ შედარებითი მასალებს და მაშინ ნათლად დავინახავთ რამდენად ჭეშმარიტი და უტყუარი აზრები გამოითქვა ზევით. ტფილისის გუბერნიაში საშუალოდ 1 დესეტინა სარწყავ მიწაზე მოდის ზამთრის პირზე დათესილი პური 63,7 ფუთი; უმცირესი მოსავალი არის ახალციხის მაზრაში 30 ფ. და უმაღლესი გორის მაზრაში—150 ფ. თუ ურწყავ მიწების მოსავალს განვიხილავთ ვნახავთ, რომ აქ მოსავალი შეადგენს 46,1 ფ. ფუთს, ადგილ-ადგილ მოსავალი აქ იძლეოდა 18 ფ.—150-დე.

ამავე გუბერნიაში გაზაფხულის პირზე ნათესი პური პირველ შემთხვევაში იძლევა მოსავალს 54,8 ფუთს, უმცირესი მოსავალია 24 ფ. ახალციხის მაზრაში, უმაღლესი—150 ფ. გორის მეორე გვარ მიწებზე მოსავალია 66,3, უმაღლესი—160 ფ.—ტფილისის მაზრაში, უმცირესი—15 ფ.—ბორჩალოს მაზრაში.

ქუთაისის გუბერნიაში ერთ დესეტინა ნარწყავ მიწაზე ზამთრის პირზე დათესილი პური იძლევა მოსავალს 56,7 ფ., უმცირესი 40 ფ., უმაღლესი 95 ფ., ქუთაისის მაზრაში ურწყავ მიწებზე კი მოსავალი უდრის 48,1; უმაღლესი 100 ფ. ქუთაისის მაზრაში, უმცირესი—25 ფ.

გაზაფხულის პირზე დათესილი პური მეორე გვარ მიწებზე იძლეოდა 55, 9 ფ., უმაღლესი 100 ფ., უმცირესი 25 ფ.

პურის მოსავლიანობის მხრივ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიები რომ შევადაროთ დავინახავთ, რომ თუმცა მათ შორის დიდი განსხვავება არაა; მაგრამ ტფილისის გუბერნიის მოსავლიანობა უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ქუთაისისა. ამ მოვლენის მიზეზის გამოძიებას ჯერ არ შევუდგებით, ამაზე ქვევით ვიბაასებთ,—ჯერ მასალები გადავათვალიეროთ.

ჩვენი პურის მოსავლიანობა შევუდაროთ სხვა, ჩვენზე უფრო განათლებულ ქვეყნების მოსავლიანობას? მივმართოთ რუსეთს. რუსეთის მიწების მოსავლიანობა პურის მხრივ ჩვენ მოსავლიანობას ბევრად ვერა სჭარბობს, ალაგ-ალაგ უფრო დაბლაც სდგას. საშუალოდ გლეხების მიწებზე ანეულად დათესილი პური იძლეოდა ერთ დესეტინაზე (ციფრები გამოყვანილია 18 წლ. მოსავლიანობის ცნობებიდან 1883—1900 წელს) 47,3 ფ., გაზაფხულის პირზე დათესილი—40,5 ფ.—კერძო მემამულეების მიწები იძლეოდა პირველ შემთხვევაში 56,6 ფ., მეორეში—47,1. ალაგ-ალაგ კი მოსავალი ჩვენებურზე უფრო მაღალი იყო. მაგალითად ანეულად ნათესი პური იძლეოდა მოსავალს 1901—1905 წლებში კერძო მემამულეების მიწებზე: კურსკის, ორლოვის გუბერნიაში 88 ფ., ტამბოვისაში—71 ფ., ეკატერინოსლავის—71 ფ. ბესარაბიის—81 ფ., ხერსონის 70 ფ., პოდოლსკის 99 ფ., კიევის 107 ფ.; ამავე დროს განმავლობაში გლეხების მიწებზე მოსავალი ნაკლები იყო, მაგრამ მაღალი მოსავალი იყო ბესარაბიაში 65 ფ.; პოდოლიაში—82 ფ., კიევის 95 ფ. და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით და განსვენებულის ცხედარი გვირგვინით შეამკო.

—

კავკავის „პარასკევის“ ქართველ ქალთა წრე შეწუხებული თავზარდამცემი ამბავით დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის გარდაცვალებისა, ამით უცხადებს თავის ძვირფასს წევრს ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას უღრმეს თანაგრძნობას და მასთან ერთად მწარედ სტირს და იგლოვს მთელი საქართველოსთვის ფრიად სავალალო დანაკარგს.

კავკავის „პარასკევის“ ქართველ ქალთა წრე.

—

დიდად ვწუხვარ სასიქადულო მამულიშვილის დაკარგვას. საქმემ მისმან გამოაჩინა, რომ კაცი იყო, ხოლო ჩვენ, ქართველებს, იმის მეტი რა დაგვრჩენია, რომ ნეკრასოვთან ერთად ვთქვათ:

У счастливаго недруги мрутъ,
У несчастнаго другъ умираетъ.

თედო რაზიკაშვილი.

—

ცხინვალი. ცხინვალის მრევლმა დიდის მწუხარებით გადიხადა პანაშვიდი სასიქადულო მამულიშვილის, პატიოსანი ადამიანისა და სამაგალითო ქველმოქმედ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად.

—

სოფ. კავთისხევი (გორის მაზრა) კვირას, 26 ივნისს, ადგილობრივ ინტელიგენტთა ერთი ჯგუფის თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ბევრი ახლო-მახლო სოფლებიდანაც დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ ადგილობრივმა მასწავლებელმა მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ და განსვენებულის პიროვნება დაახასიათა.

—

სოფელი ძეგვი. 26 ივნისს სოფელ ძეგვში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ბ. ალექსანდრე ნათაძემ. მან მოკლედ და ნათლად დაახასიათა სარაჯიშვილის ღვაწლი ქართველ ერის წინაშე. პანაშვიდზე გალობდა მიხ. ნათაძის მიერ მოაგარაკეთაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი. ხალხი ბლომად დაესწრო მამასახლისის მეთაოობით.

ვახ. ბარნოვი.

მასწავლებელთა კურსები ახალციხეში

სოფლის მასწავლებელთა კრებები 22 ივნისს დასრულდა, რომელიც სახალხო ინსპექტორის (მე-3-ე რაიონის) ბ. სიმიონოვის თავმჯდომარეობით მოხდა. კრებები ორ კვირას გაგრძელდა. მოწვეული იყო 39 მასწავლებელი ახალციხის, გორისა და ახალქალაქის სოფლებიდან, რომელთა შორის 16 ქართველი იყო.

ნება დართეს ეგრეთვე გარეშე მასწავლებლებსაც, რომელთა რიცხვი 25 იყო. ამათ რიცხვში საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლები იყვნენ 10 კაცი, ასე მსმენელთა რიცხვი 64 უდრიდა.

კრებებზე უმთავრესი ადგილი ეჭირა 1. ლექციების კითხვას მასწავლებელთათვის სხვა და სხვა საჭირო თემებზე: რუსული ენის დიდაქტიკაზე, მათემატიკაზე, ბუნების მეტყველებაზე, მეურნეობაზე, ხატვა-ხაზვაზე და ჰიგიენაზე. 2. სანიმუშო გაკვეთილების არითმეტიკისა და რუსულ ენისა, რაც ირჩეოდა იქვე.

3. შეეხნენ ბევრნაირ სასკოლო საკითხების გარჩევას და მასთანვე სახელმძღვანელო წიგნების არჩევას პირველ-დაწყებით სკოლებში სახმარებლადა და აგრეთვე ადგილობრივ მიდამოებში ექსკურსიის გამართვაზე.

საზოგადოდ სანაქებოდ ჩაიარა ორ კვირით გამართულმა კრებებმა და მსმენელნიც კმაყოფილნიც დარჩნენ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე მეტადრე ლექციების კითხვამ რამაც განახლებული ცოდნით განმსჭვალა მათი სული და გული.

იმედი აქვთ მომავალი სექტემბრიდანვე შეუდგებიან თავიანთ სკოლებში სწავლის უკეთ დაყენებას.

დიქტავაზე 10 ლექცია წაიკითხა ბ-ნმა კორხანიძემ და სამი გაკვეთილი მისცა რუსულ ენაში.

არითმეტიკის შესახებ 7 ლექცია წაიკითხა ადგილობრივი სამოქ. სასწავლებლის მასწავლებელმა ალ. პურაძემ. მასანიძემ გაკვეთილიც მისცა არითმეტიკაზე. ბუნების-მეტყველებიდან (ბოტანიკასა, ფიზიკასა, მინერალოგიასა და ხიმიასა) 10 ლექცია—ადგ. პროგიმნაზიის ინსპექტორმა ალ. ვერესოვმა.

მეურნეობაზე 10 ლექცია წაითხა ბ-ნმა ჯარაგიანმა.

ხატვა-ხაზვაზე 1 ლექცია წაიკითხა ადგ. სამოქ. სასწავლებლის ინსპექტორმა ბ-ნმა ბერმა.

ჰიგიენიდან, 10 ლექცია ქალაქის ექიმმა ბ-ნმა აივაზოვმა.

სახელმძღვანელო წიგნების არჩევა კრებამ მასწავლებლებს მიანდო. ვისაც რომელი წიგნიც მოეწონება (განსაზღვრულ დარგში), იმ სახელმძღვანელოს ასწავლის თავის სკოლაში.

ქართველმა მასწავლებლებმა საგანგებოდ მასთვის გამართულ კრებაზე კერძოდ მოილაპარაკეს, რომ უეჭველად ბ. იაკ. გოგებაშვილის I და II ნაწილი „რუსსკოე სლოვო“ იხმარონ სკოლებში.

მასწავლებელთა ერთი ჯგუფი სამჯერ წავიდა მახლობელ ტყეში და მინდვრად ექსკურსიაზე ბოტანიკის უკეთ გასაცნობად. 21-ს ივნისს კი აბასთუმანში წავიდნენ შესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. იმედია, მომავალში კიდევ გამართავენ ხოლმე ასეთ კრებებს, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ყრუ კუთხის სოფლის მასწავლებლებსა.

მესხი ქ. გვარამაძე.

ესე იგი ხოლაც რუსეთში, კერძო მემამულეების მიწებზე ჩვენ მიწებთან შედარებით, უფრო მაღალი მოსავალია, რაც შეეხება გლეხების მიწებს ისინი მოსავლიანობის მხრივ ვერ ჩვენს მიწებს ვერა სჭარბობენ და იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც ჩვენი მიწები. რუსეთის კერძო მემამულეთა მიწების მოსავლიანობის სიმდიდრე აიხსნება იმითი, რომ მათ მიწა ბევრი აქვთ გლეხთან შედარებით და მიწის გასაუმჯობესებლად დიდად დასამუშავებელი საშუალება, სამეურნეო ტეხნიკა და ცოდნაც მეტი აქვთ. მივმართოთ ევროპიელ ერთა მიწის მოსავლიანობის მდგომარეობას; ერთი დესეტინა აქ იძლეოდა პურს 1901—1905 წლ.

შვეციაში—111 ფ.
გერმანიაში—126 „
ინგლისში—144 „
ჰოლანდიაში—145 „
ბელგიაში—153 „
ირლანდიაში—164 „
დანიაში—183 „

თუ ზემოდ მოყვანილ ციფრებს ჩვენი მიწების მოსავლიანობას შევადარებთ ამ უკანასკნელთ, ნათლად დავინახავთ, რომ დასავლეთ ევროპის მიწის მოსავლიანობა დიდად სჭარბობს ჩვენისა და რუსეთის მიწების მოსავლიანობას. ეს მხოლოდ იმით აიხსნება რომ იქ ძლიერ მაღლა სდგას სამეურნეო ცოდნა. შეიძლება გვიპასუხონ, რომ შედარების დროს აღებული გვაქვს სხვა და სხვა გვარი მიწები, როგორც მოსავლიანი, ისე უვარგისნი, ამის თიობაზე ის ითქმის, რომ ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ საშუალო რიცხვით, რომელიც საერთოდ ერთ გვარია, რაც შეეხება ჩვენ ქართულ სტატისტიკას სრული უტყუარი მასალა არა გვაქვს; ჩვენ საზოგადოდ დაახლოვებით ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, მიუხედავად ამისა არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ დასავლეთ ევროპის განათლებულ მეურნისათვის მიწების დაყოფა მოსავლიანზე და მოუსავლიანზე არა არსებობს: განათლებული ევროპიელი მეურნე უვარგის, მწირ მიწას, რომელსაც თავის თავად მოსავლის მოცემა არ შეუძლიან, ასწორებს, მოსავლიანად ჰხდის; იმდენად აუმჯობესებს, ანოყიერებს, რომ ყოველგვარი მიწა იმ მოსავალს იძლევა, რომელიც მეურნესა ჰსურს. იგი ბატონობს მიწაზე და იმორჩილებს მას.

ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი მიწების მოსავლიანობა ზამთრისა და გაზაფხულის პირზედ დათესილ პურისა და ვნახეთ, რომ ჩვენი მეურნეობა ჩამორჩენილი ყოფილა და ვერა სარგებლობს მიწის სიმდიდრით.

სანამ საზოგადო დასკვნას გამოვიყვანდეთ, სხვა ცნობებსაც უნდა მივმართოთ და უნდა გავიგოთ, რამდენად მოსავლიანია ჩვენი მიწები სხვა და სხვა გვარი პურისა და ხორბლეულობისა და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება დაახლოვებით მაინც ჭეშმარიტი მსჯელობა ვიქონიოთ, რომელსაც ცოტა მაინც არის პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

სიმ. ბებლიანი.

მხოლოდ 1 ივლისამდე მიიღება ხელის-მოწერა.

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:
„ჩვენი საზოგადოებრიობა“.

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ვინც ამ წიგნზე ხელს 1 ივლისამდე მოაწერს, მათთვის წიგნი ეღირება 40 კაპ. წიგნში იქნება არა ნაკლებ 260 გვერდისა.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს.

(20—1326—16)

ქვემო-იმერეთის ვითარება

კულტურულის მხრით ქვემო-იმერეთის სამხრეთი ნაწილი—რიონ-გალმის კუთხე, მეტად ჩამორჩენილია. არავითარი განმანათლებელი დაწესებულება არ არსებობს. სკოლების სიმრავლითაც ვერ იქებს თავს. ორი-სამი ორ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი და ამოდენივე ერთ-კლასიანი ვერ აკმაყოფილებს აქაურ მკვიდრთა მოთხოვნილებას, რომელთა რიცხვი ათი ათასზე მეტია. გონივრულად მოწყობილს სკოლას იშვიათად შეჰხვდებით, მიუხედავად მისა, რომ ბევრგან ამ კუთხის შვილები მასწავლებლობენ. ს. ამაღლებაში 1897 წ. სასულიერო მთავრობამ დაარსა ახალი ტიპის სამასწავლებლო სკოლა, სამის წლის კურსით. კურს-დამთავრებულ მოსწავლეებს წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლობის მოწმობა ეძლევათ. ეს სკოლა ნაქირავებ შენობაშია მოთავსებული, ვერც რიგიანად მოიკიდა ფეხი და არც სადმე გადაიტანეს; ადვილად შეიძლება სასულიერო მთავრობამ დახუროს კიდეც. ერთ დროს მთავრობამ საკუთარი შენობის აგება დააპირა, საზოგადოებასაც მოთხოვა აღთქმული შეწირულება, მაგრამ ბოლოს საქმე ისევ შეჩერდა და დღესაც ნაქირავებ შენობაშია სკოლა დაცალცალკევებული.

ამას წინად გვეწვია საიმპერიო რევიზორი ბ-ნი ვანჩაკიძე საეპარქიო მეთვალყურის თ. ჟორდანიას თანხლებით. რევიზიის შემდეგ, საზოგადოების წევრნი შეეკითხნენ შენობის თაობაზე, რაზედაც რევიზორმა უპასუხა: „საკუთარ შენობის ასაგებად საშუალება არა გვაქვს“.

14 წლის განმავლობაში სახლების ქირად რამოდენიმე ათასი მანეთი გადახდილია. და ამ ხარჯისთვის რომ დაემატებინათ ამოდენივე საკუთარი შენობაც აშენდებოდა, თუ მართლა სასულიერო მთავრობას აქვს სახეში ამ სკოლის არსებობა და დამკვიდრება. ამ სკოლას პროგრამა დიდი აქვს, ყველაფერს გადიან, მაგრამ საფუძვლიანად კი ვერაფერს; ასწავლიან საღვთო სჯულს, რუსულ ენას, ქართულ ენას, ლიტერატურას, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, ფიზიკას, ბუნების მეტყველებას, გეოგრაფიას, სამოქ. ისტორიას, საეკლ. ისტორიას, ჰიგიენას, პედაგოგიკას, მეთოდიკას, დიდაქტიკას და სხვა... ნუ თუ ამდენი საგნების შესწავლა და შეთვისება სამის წლის განმავლობაში შეუძლიან ერთ-კლასიან სამრევლო სკოლიდან შესულ ბავშვს?! ეს პროგრამა შემოღებული იყო დროებით, საჭირო იყო სასულიერო სამოსწავლო მთავრობას ეს პროგრამები ან რიგიანად შეემუშავებინა, ან და გაედიდებინა სასწავლო კურსის წლები. საჭიროა ამ კუთხეში სკოლები გამრავლდეს, თუ ყოველ სოფელში არა, თითოეულ საზოგადოებაში მაინც უნდა დაარსდეს ორ-კლასიანი სასწავლებელი ხუთი წლის კურსით სამინისტროსი იქნება ის თუ სასულიერო უწყების სულ ერთია, ხოლო სკოლაში სწავლა უნდა მოეწყოს რაციონალურად და სწარმოებდეს სამშობლო ენაზე, თანახმად 1881 წლის გეგმისა, თორემ მარტო საღვთო სჯულის სწავლება უცხო ენაზე, რომლითაც ტვინს ულაყებენ ბავშვებს არა კმარა. ასეთ სკოლებში საჭიროა მასწავლებლებმა თვითონაც გაიცნონ და მოსწავლეებსაც გააცნონ სამშობლო ლიტერატურა, საქართველოს შემოკლებული ისტორია და გეოგრაფია.

ეს საგნები შეუძლიათ გაიარონ ქართული ენის გაკვეთილებზე.

—

რიონ-გალმის კუთხე სამეურნეო კუთხეა; მკვიდრნი ხვნა-თესვას, მევენეობას, მეაბრეშუმეობა და საზოგადოთ სოფლის მეურნეობას მისდევენ. ამის გამო, რათა ეკონომიური მხარეც აქაურ მკვიდრთა გაუმჯობესდეს, საჭიროა დაარსდეს ერთი დაბალი პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებელი, ორი წლის კურსით, სადაც შევლენ ორ-კლასიან სკოლებში კურს-დამთავრებულნი ბავშვები და მეურნეობის ყოველგვარ დარგს გაეცნობიან, რათა შემდეგ მუშაობის გაუმჯობესებული წესი შემოიღონ.

ამ კუთხეში არ მოიძებნება არც ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ქალთათვის; პატარა ქალიშვილები ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი; მათთვის არავინ არ ზრუნავს, თითქო პირველ-დაწყებითი განათლება რომ მიიღონ, ზედმეტი იქნება და საკმარისია მარტო მჭადის გამოცხობა და ლობიოს ამოზელა ისწავლონ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ დაარსდეს ქალთათვის პირველ-დაწყებითი სასწავლებელი პროფესიონალური განყოფილებით. კერძო თაოსნობაა აქ საჭირო: შეიძლება, სანამ მთავრობა დაგვიარსებდეს ასეთ ქალთა სკოლას, აღმოჩნდეს ვინმე უფლებიანი ქალი, რომელმაც დაარსოს კერძო პროფესიონალური სკოლა ვანში ან შუამთაში, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნება ასეთი სკოლის დაარსება. აი რას უნდა მიაქციოს ყურადღება ამ კუთხის ინტელიგენციამ და შეძლებულმა პირებმა, თუ ჰსურთ, სამსახური გაუწიონ თავის სამშობლოს.

ლადო ბზვანელი.

ხმა კავკავიდან

22 ივნისს ქართველთა ეკლესიაში მღ. მამა გიორგი ნათაძემ გადაიხადა პანაშვიდი გარდაცვალებულ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. ხალხი, როგორც ქართველობა, ისე გარეშეც ბევრი დაესწრო. იმავე დღესვე მამა გიორგი ნათაძისა და იოსებ გრიგორის ძე შვილევის თაოსნობით მოწვეულ იქმნა კრება

კრების დაწყებამდე კავკავის წ. კ. გ. საზოგ. განყოფილების თავმჯდომარემ ბ-ნმა ი. გ. შვილევმა პატარა მაგრამ საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა და განსვენებულის მოღვაწეობა დაახასიათა. შვილევის წინადადებით განსვენებულს პატივი სცეს ფეხზე ადგომით.

კრებას თავმჯდომარეობდა კნ. ი. მ. ლორთქიფანიძე. კრებამ დაადგინა: 1) გაიგზავნოს ტფილისში დასაფლავების დღეს სამახსოვროდ ვერცხლის გვირგვინი, ღირებული 70 მან. შესაფერის წარწერით, კავკაველ ქართველთა სახელით. 2) გაიგზავნოს მღვთის-მშობლის ხატი კავკაველ ქართულ სკოლის შეგირდებიდან, მათ დაუვიწყარ მამას, ღირებული 50 მან. 3) გაეგზავნოს დეპეშები: 1) მეუღლეს განსვენებულისას ეკატერინე ივანეს ასულს ნუგეშის საცემად, კავკაველ ქართველობის სახელით. 3) კავკავის ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების კავკავის განყოფილების კომიტეტისაგან. ამ კრებას შემთხვევით დაესწრო მსახიობი ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა და კრებას წინადადება მისცა, განსვენებულის სახელობაზე კავკავის საშუალო სასწავლებელში ქართველ ბავშვისათვის სტიპენდია დაარსონ. კრებამ ეს წინადადება მიიღო. განსვენებულის დაკრძალვაზე დასასწრებლად დელეგატებად აირჩიეს ბ.ბ. ი. გ. შვილევი, მ. გ. ბურდული და ს. მ. ელიაძე. 26 ივნისისათვის დანიშნული წარმოდგენა გლოვის ნიშნად გადაიდო. საზოგადოდ ამ ძვირფას დიდ ადამიანის დაკარგვამ კავკაველ ქართველთა შორის დიდი მწუხარება გამოიწვია. აქაური საზოგადოება კარგად იცნობდა განსვენებულს. ხშირად დაეხმარებია იგი აქაურ ღარიბ-ღატაკთ.

ივანე კაკაბაძე.

ალბანეთი, ოსმალეთი და ჩერნოგორია

დეპეშები.

25 თიბათვე.

ცეტინიე. ოსმალეთის ელჩი პოდგორიცას წავიდა, რათა აჯანყებულ მალისორებს შეატყობინოს, რომ მთავრობამ კიდევ ახალი რამ დაუთმო.

ცეტინიე. მობილიზაცია ოთხშაბათს შეჩერდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის ელჩმა განცხადება წარადგინა. ოსმალეთის ელჩმა სადრედინ-ბეიმ გარეშე საქმეთა მინისტრს ჯუკანოვიჩს პროტესტი განუცხადა, თქვენი მოსაზღვრე ჯარი ალბანელებს ოსმალეთში დაბრუნების ნებას არ აძლევსო. ჯუკანოვიჩმა განაცხადა, ეს უბრალო გაუგებრობაა: მოსაზღვრე ყარაულებმა არ იცოდნენ, რომ ალბანელების გაშვება შეიძლებოდაო და დაჰპირდა მოსაზღვრეებს შევატყობინებ, რომ დღეის შემდეგ ალბანელებს ოსმალეთში გადასვლა არ დაუშალონო.

მცოდნე წრეები ამბობენ, თუ კათოლიკე არქიეპისკოპოსის მისიამ ნაყოფი გამოიღო ამნისტიის ვადა ათი დღით კიდევ გაგრძელდებაო.

26 თიბათვე.

სტამბოლი. მალისორებთან დროებითი მორიგება 9 დღით გაგრძელდა.

პოდგორიცა. სკუტარიის კათოლიკე არქიეპისკოპოსს, როგორც ეტყობა, მრავალი დაბრკოლება შეხვდა ალბანელთა დამშვიდებაში. ალბანელთა მეთაურებმა უთხრეს, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდებით, როცა ის აგვისრულდება, რაც მემორანდუმით ვითხოვეთო. პოდგორიცაში ოსმალეთის ელჩი მოვიდა და არქიეპისკოპოსს შეატყობინა, ოსმალები ალბანელებს ახალ შეღავათს აძლევენო. მცოდნე პირები ამბობენ, ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, თუ საჭიროება მოითხოვს, ზოგიერთ ალბანელების წინააღმდეგ ძალა იხმაროს, მხოლოდ ეცდება, რომ ჩერნოგორიასთან შეტაკებას კი ყოველი ღონით ერიდოს. ოსმალები ჩერნოგორიის საზღვრებზე არ გადავლენ, თუ თვით ჩერნოგორელებმა არ გადმოლახეს ჩვენი საზღვრებიო.

უცხოეთი

სპარსეთი.

სპარსეთის საქმე ძალიან აიწეწა. იმ ხალხში, რომელიც სეპეხდარმა შემოიკრიბა რეშტში, მრავალი ბნელი ძალები და კავკასიიდან გადასულები არიან. უახადმა რაშიდ-სულთანმა ხორასანში უგედა უმაღლესი მოხელე დაატუსაღა. ადერბეიჯანში ყველა დატუსაღებული მახსოვნელებს ჩაუვარდათ ხელში. თეირანის მცხოვრებნი მეჯლისს შველასა სთხოვენ. სადარ-ულ-დოულემ ჯერ კი ჯარი შეაგროვა, მაგრამ მერე სადღაც მიიმალა.

სპარსეთმა ვერც თავის ფინანსების საქმე მოაწესრიგა. ამერიკელ ფინანსისტ მრჩეველთა და ბელგიელ მებაჟეთა შორის უთანხმოება სუფევს. მინისტრების ორდერებზე ამერიკელებს ხელს არ აწერინებენ, რადგანაც ჰფიქრობენ, რომ ამერიკელები სპარსეთის ფინანსების საქმის მოწყობაზე ხელს მაღლა აიღებენ.

საფრანგეთი.

პალატაში პროპორციონალური არჩევნების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკება მოხდა. მემარცხენეთა დელეგაციამ ასეთი მოსარიგებელი ფორმულა წარადგინა: მუხლი 1. ეხლანდელი სათემო არჩევნების მაგივრად შემოღებულ იქნება არჩევნები სიებით. მუხლი 2. სიტყვები: „შემოღებულ იყოს პროპორციონალური არჩევნები“ ამოიშლება და მის ადგილას ჩაიწერება: „შემოღებულ იქნება უმცირესობის წარმომადგენლობა“. ეს გადაწყვეტილება შემდეგ მოლაპარაკების საფუძვლად გადაიქცევა.

ყირონდის დეპარტამენტში დიდი მოძრაობაა. მიზეზი ის არის, რომ მთავრობას დელეგაციის კანონის გაუქმება ჰსურს. ბორდოში მიტინგი იყო. მიტინგს 2 000 მევენახე დაესწრო. მევენახეებმა გადასწყვიტეს, ხარჯი აღარ გავიღოთო. მთელ დეპარტამენტში მრავალმა მუნიციპალიტეტმა თავის რწმუნებულებაზე უარი სთქვა.

ტრუაში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მიტინგები აკრძალა, სინდიკატთა ორგანიზაციებმა დიდი მიტინგი გამართეს. სინდიკატებმა პროცესია მოაწყეს. პროცესიაში 8,000 კაცი იღებდა მონაწილეობას. დაიბარეს ჯარი. მოხდა შეტაკება. მრავალი დაიჭრა.

ოსმალეთი.

ბოსფორიდან დეპეშით იტყობინებიან, ბაღდადს და სპარსეთის ყურეს შუა მდებარე ადგილებში სრული ანარქიაა. თემებს ბრძოლა აქვთ. ჯარი არ არის; მთავრობას ვერა გაუწყვია. ასეთივე ამბავია თვით ბაღდადშიაც. ქალაქები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ძველი ვალის მომხრეა, მეორე მოწინააღმდეგეა. დიდი არეულობა მოხდება.

ოსმალეთის პროვინციებში არეულობანი ძლიერდება. იემენში ოსმალებისა და არაბების უკანასკნელ ბრძოლაში ოსმალებს 500 კაცი მოუკლეს და 2 ათასი დაუჭრეს. ერთ ბრძოლაში ოსმალები საშინლად დამარცხდნენ და გაიქცნენ. სამხედრო სურსათი აჯანყებულთ დარჩათ.

19 ამ თვეს სმირნაში დაატუსაღეს იტალიის საკონსულოს მსახური, რომელსაც პოლიციელებმა სცემეს და იარაღი წაართვეს, თუმცა მას იარაღის ტარების ნება ჰქონდა. იტალიის ელჩმა გუბერნატორს განუცხადა, თუ ჩქარა არ დამაკმაყოფილებთ, მთელი საელჩოთი ქალაქიდან წავალო. გუბერნატორმა სამი დღის შემდეგ მოიხადა ბოდიში.

ვანში ქურთებს ნაციონალური კომიტეტი შეუდგენიათ. ქურთები ახალგაზრდა ოსმალების უკმაყოფილონი არიან. ამავე დროს სომხეთა აწიოკებას ამზადებენ.

საბერძნეთმა ოსმალეთს ხელ-ახლად მოსთხოვა, დასაჯეთ ის სალდათები, რომელთაც ამ ბოლო დროს საზღვრებზე უწესობა მოახდინესო. ამ სალდათების დანაშაულობა რიგიანად ჯერაც არ არის გამორკვეულიო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თიბათვე.

საზღვარ-გარედ.

მადრიდი. მინისტრ-პრეზიდენტმა ხელ-ახლად განაცხადა, ისპანიას ლარაშისა და ელკსარის დაპყრობა არა ჰსურს, იგი ამ ადგილებში მხოლოდ პოლიტიკურ საშუალებას ხმარობსო.

ქრისტიანია. სამთო მუშებთან მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. 25 თიბათვეს მთელ ნორვეგიაში 25 ათასი მუშა დაითხოვეს. თუ მომავალ შაბათამდის ვერ მორიგდებიან კიდევ 18 ათას კაცს დაითხოვენ.

აგადირი. მოვიდა კრეისერი „ბერლინი“.

ბელგრადი. ძველ-რადიკალთაგან კაბინეტის შედგენის ბრძანებას მეფემ ხელი მოაწერა. პრემიერად და გარეშე საქმეთა მინისტრად მილოვანოვიჩია, ფინანსთა მინისტრად—პროტიჩი, შინაგან საქმეთა—ტრიფკოვიჩი, განათლებისა—ჟუჯა იოვანოვიჩი, სამხედრო—სტეპანოვიჩი.

მოვიდა მრავალი სლავიანელი ჟურნალისტი. რუს ჟურნალისტებს 40 კაცს ელიან.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს კრებაზე დე სელვმ თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ განცხადება წაიკითხა. მცოდნე წრეები ამბობენ, საფრანგეთი თანახმაა განიხილოს გერმანიის ყოველივე წინადადება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეს წინადადება არ ეხებოდეს მაროკოს საქმეებს, რომელნიც ტრაქტატებით არის დამყარებულიო, ამბობენ, ინგლისიც ამ აზრისაა.

ბუდაპეშტი. მიწის ძვრა იყო. ნაგიკერეშში ერთი სახლიც არ დარჩა,

რომ არ დაზიანებულიყო. ზარალი რამდენიმე მილიონისაა. მარიასემიტადიაში სახლის ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა სახლის პატრონი და 9 ბავშვი.

პარიზი. სოციალისტთა მუდმივმა ბიურომ დაადგინა მაროკოში ომის ატეხას პროტესტი გამოუცხადოს.

შრომის გენერალურმა კონფერენციამ დაადგინა ბერლინში გაიგზავნოს მუშათა სინდიკატების წარმომადგენლები. ამ დელეგაციის პროგრამით მუშებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მიტინგში, რომელიც კონფერენციის მდივნის სიტყვით ომის საწინააღმდეგო დიდი მანიფესტაცია იქნება.

ბუდაპეშტი. ბოგაზეში ჯვრის კურთხევის დროს სასაფლაოზე სლოვაკებსა და რუმინელებს შეტაკება მოუხდათ. 12 კაცი მძიმედ დაიჭრა.

კელნი. „კელნიშე-ცაიტუნგს“ ტანჟერიდან ატყობინებენ, სუსის ოლქის გავლენიანი პირნი გერმანიას პროტექტორობას სთხოვენო.

ნიუ-იორკი. ღრუბლებმა და ქუხილმა სიცხე რამდენადმე შეამსუბუქა. მიუხედავად ამისა ხალხი მაინც დაიხოცა: ნიუ-იორკში მოკვდა 44 კაცი, ბოსტონში 29, ფილადელფიაში 16, ბალტიმორაზე 16, ნისტბურგში 14.

ტენერევე. მოვიდა კანონერკა „პანტერი“.

ანტვერპენი. ბელგიის ყველა მეზღვაურთა გაფიცვა დასრულდა.

სტამბოლი. „თენი-გაზეთში“ დაბეჭდილია წერილი, რომელიც ოსმალეთს ურჩევს, რუსეთს დაუკავშირდიო. რუსეთმა სლავიანები გაანთავისუფლა და ეხლა იგი ბალკანეთზე აღარას დაეძებსო.

პარიზი. დაატუსაღეს საამშენებლო სინდიკატთა მდივნები ბარიტო, ვიანი და დიუმონი, რომლებიც პოლიციამ ამას წინედ გაჩხრიკა. მიზეზი ის არის, რომ ეს პირნი ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას ეწეოდნენ.

ბუენოს-აირესი. აღმოაჩინეს მონარქიული შეთქმულება. დაატუსაღეს ორი იტალიელი, რომელთაც ყუმბარების ქარხანა ჰქონდათ გამართული.

რუსეთი.

26 თიბათვე

იაროსლავი. ავიატორი კუზნეცოვი აფრინდა, მაგრამ პროპელლერის უვარგისობის გამო ისევ მალე დაეშვა. აპარატი დაშავდა და თითონ ავიატორი გადარჩა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გადაიწვა სოფელი გოროდიშჩე, სემიონოვსკის მაზრაში.

პერმი. გუბერნატორმა დაათვალიერა „პოტემკინის პოლკი“. აგროვებენ ფულებს მათ პეტერბურგში გასაგზავნად, რომ ხელმწიფემ დაათვალიეროს.

ასტრახანი. გახსნეს მეექვსე კრება კასპიის და ვოლგის თევზისა და ზღვის-ღორების მრეწველთა.

პეტერბურგი. სამხედრო საბჭომ დაადგინა: შეამცირონ უნტერ-ოფიცერთათვის სამსახურის ვადა ერთ წლამდე.

რეველი. ჩამოვიდა საგზაო მინისტრის თანაშემწე შჩუკინი და დაათვალიერა ნავთსადგური და ვაგონების საკეთებელი ქარხანა.

ლოძი. პაბიანიცას შოსეზე სამი მძარცველი თავს დაესხნენ რობერტ ზინგერის ქაღალდის ქარხნის დირექტორს, წაართვეს 4000 მ. და მისივე ეტლით მიიმალნენ.

პეტერბურგი 26 ივნისს გატჩინის მოედანზე 7 ოფიცერმა ავიატორმა, რომლებიც პოლკოვნიკ ულიანოვთან სწავლობდნენ ფრენას, ჩააბარეს ეგზამენი პილოტობაზე.

ჩერნოვეცი. მდინარე პრუტში წყალმა მოიმატა. ზოგ რკინის გზაზე მოძრაობა შეწყდა. ბევრი ხიდი დაინგრა.

ნიკოლაევი ხოლერით ავად გახდა ორი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

სახაზინო თეატრში, 29 ივნისს, ბაქოს საოპერო დასი წარმოადგენს ოპერას „ლეილი და მეჯნუნი“. მეჯნუნის როლს ბ. სარაბსკი შეასრულებს, ლეილისას კიხანუმ გელაგარჩინ. ილოტბარებს მუსიკის ავტორი უზეირბეკ-გაჯიბეკოვი. ეს ოპერა ტფილისში პირველად მიდის. მათთვის ვინც თათრული ენა არ იცის, ლიბრეტო რუსულ ენაზე იქნება შედგენილი.

—

ხონი. ადგილობრივ დრამატიულ ჯგუფს უმოქმედობა ეტყობა. კვირაში ორი წარმოდგენის ნაცვლად ერთ წარმოდგენას მართავს. ამ კვირაში ერთი წარმოდგენა გამართა. ერთ წარმოდგენის გამართვას აპირებს მომავალ კვირაშიაც. 19 ივნისის წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ითამაშეს „ძალა აღმართსა ხნავს“. ხალხი ბლომად დაესწრო. ვურჩევ დრამატიული ჯგუფის მმართველ თეატრალურ სექციას კვირაში ორჯერ მართონ. 26 ივნისს სდგამენ „კაიგრაკხს“.

„ᲤᲘᲪᲘ ᲛᲬᲐᲛᲡ, ᲑᲝᲚᲝ ᲛᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ“.

(მქ. ბ. რ. ნანეიშვილის წერილის გამო)

როდესაც ბ. რ. ნანეიშვილი „სახ. გაზ.“ რედაქციის მიმართ წერილს სწერდა, უსათუოდ ჰფიქრობდა, რომ ამით მოსპობდა და გააქარწყლებდა ჩემს წერილში წამოყენებულ ბრალდებებს, მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო გაება მახეში. ძლიერ მიკვირს, რისთვის ერთმა მაინც ვაჭართაგანმა პასუხი არ გაგვცა ჩვენს წერილზე, თუ იმაში მართლად არ იყო აღნიშნული, რომ კრება სწორედ აბრეშუმის პარკის ფასის დასაკლებლად იყო მოწვეული. თუ ბ. ექიმმა ჩემზე უკეთესად გაიგო სინამდვილე, ისეც ეცოდინება ვაჭრები რომ გაიძახოდნენ, თუ 13 მანეთს ზევით გამოიღებდნენ პარკის ფასად, უსათუოდ წააგებდნენ, მხოლოდ მესამე დღეს კი 17 მანეთამდე ასწიეს ფასი. ან რად დასჭირდა ბ. ექიმს ბ. ბ. სტურუებისა და მ. გუგუნავას გამართლება, როდესაც ჩვენ უტყუარი საბუთები გვაქვს ხელში, რომ ბ. მ. გუგუნავა კრებაზე თარჯიმნად ყოფილა თათრებსა და ადგილობრივ ვაჭართა შორის. მხოლოდ დაუნახავს ბოქაული თუ არა, გაპარულა. ბ-ნი ნანეიშვილი არამც თუ „ბიძაშვილს გამოექომაგა“ (თუმცა არც ეს არის საკადრისი), არამედ ყველა ვაჭრებსაც. ისეც არ არის მართალი, რომ მისი ბიძაშვილი „უბრალო მცველი“ იყოს ბ. გუსეინოვისა. არ ვიცი, ბ. ექიმი, შეიძლება მცველს უწოდებდეს ისეთ კაცს, რომელიც ადგილობრივ გუსეინოვის ფირმის მთელ საქმეებს განაგებს.

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“.

თუ ბ. ნანეიშვილს სურს, რომ ჩვენ უფრო ნათლად დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი წერილი სიმართლეზეა აშენებული და ის კი ცდება, შეუძლიან სხვა ზომებს მიმართოს. თუ საჭირო დარჩება, ჩვენ უფრო მეტს საბუთს წარმოუდგენთ ჩვენ წერილში მოყვანილ სიმართლის დასადასტურებლად*)

პესიმისტი.

ღია წერილი

ბ-ნ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილისადმი.

ბატონო იაკობ! უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ შრომა და შემდეგ საკითხის (რადგან ჩემსა და რამოდენიმე ამხანაგთა შორის საკამათოდ გახდა) პასუხი პრესის საშუალებით გვაუწყოთ: ხმის ამაღლება ქართულ ლექსებში თვითეულ სიტყვებზეა დამოკიდებული, თუ ცეზურაზე. პირადად ჩემი აზრი ასეთია, რომ ხმის ამაღლება თვითეულ ცეზურაში ბოლოდან მესამე მარცვალზე უნდა მოხდეს, როგორც ეს აღნიშნულია ბ-ნ სილოვან ხუნდაძის ქართულ გრამატიკაში (გვ. 191), ამხანაგები კი ამის წინააღმდეგი არიან ე. ი., მათის აზრით, ხმის ამაღლება ქართულ ლექსებში თვითეულ სიტყვაზე უნდა ხდებოდეს. ამ ფორმით ასწავლის, რამდენადაც დაკვირვებული ვარ, სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობაც. გთხოვთ ამ საკითხის შესახებ გაგვიზიაროთ თქვენი აზრი და მით საშუალება მოგვცეთ ერთს აზრს დავადგეთ ყველანი.

დავშთები თქვენი მონა-მორჩილი და სხვა **მასწ. მიხ. დეკანოსიძე.**

---

*) რედაქციამ მიიღო თერთმეტი კაცის ხელმოწერილი წერილი, რომელიც ბ-ნ პესიმისტის კორესპონდენციას ადასტურებს. **რედ.**

წერილი რედ. მიმართ

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის, გამოუცხადოს უღრმესი მადლობა ემერენციანა მიხეილის ასულს ჯაყელისას, რომელმაც ტფილისს დროებით დაბრუნებისათანავე მოისურვა შეეწირა სათავად-აზნაურო გიმნაზიის საჭიროებისათვის ხუთასი მანეთი. ამ შემოწირულობის მიღება მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ შეიძლება ჩაითვალოს მას მაგალითად, თუ, დიდი ხნით სამშობლო ქვეყანას მოშორებულ ქართველებს როგორ ახსოვთ საჭიროება თავიანთი ერისა და სიამოვნებასა ჰპოებენ ამ საჭიროების დაკმაყოფილებით.

თავმჯდომარე გამგე კომიტეტისა (**თ-დი პ. ი. თუმანიშვილი**
გამგე გიმნაზიისა) **ა. მდივანი.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ჩემს პასუხს **ბ. კოსტა იაკობის ძე კვანტალიანისადმი:** თანახმა ვარ სამედიატორო სამართალში გავყვე. ჩემის მხრივ მედიატორებად ვნიშნავ: სტუდენტს ალექსანდრე ეპიფანეს ძე კანდელაკს და მასწავლებელს ვარლამ ალექსის ძე ვაშაკიძეს.

ნესტორ მიხეილის ძე კიკაჩეიშვილი.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვოში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვოში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო** მატ. დილის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ.. მიხაილოვოში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვოში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) საფოსტო N 6. I—II. კლ. გადის დილის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად., 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107 მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათუმიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ 10 ს. 21 წ. დილით

შორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის ნაშ., 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქო-კისლავოდსკამდე, საერთაშორისო-ხამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარეკო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:

ხუთშაბათობით — ციხე - მისჯილთა (Крѣпостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

კვირაობით—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. და арестант отд). და ყველა მათი, რომელიც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

ყოველ თვის 20 რიცხვში (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიჰმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

ყოველ კვირა-ხუთშაბათს შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რამე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამორთმევა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რამიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი, რომელზედაც ეწერება სია გადასაცემისა და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

შეიძლება გადაცემა აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდაწინ ბრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.

ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სახაზ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევს 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბი შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. ქიმში).

კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

ნიხრი

ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა
(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . .	40 კ.
2. ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე გერის ბაღებში და უკან	70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში	70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ.	—
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში	40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე	50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან	80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში	50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე	50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . .	40 „

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ
ყოველ დღე, კვირების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ს. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბექტაბანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა,
კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. (1168—70)

„ᲡᲐᲛᲞᲡᲝᲜᲘᲜᲘ“
ᲗᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
საპონი ექ. დიდიძისა
იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე)
(წლ.—1152—42)

მუხრანის კერძო
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9 и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. ტონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „**606**“-ით, დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—1003—97)

პატივის-ცემით ვაუწყებ
ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ,
რომ 1-ლ ივლისიდან ვხსნი **წიგნის მაღაზიას**
„ახალი ცხოვრება“,
მიხაილოვის პროსპექტი, N 36, ჭავჭანიძის სახლში.
განსვენ. ზაქ. გრიქუროვის წიგნ. მაღაზ. ყოფილი გამგე **ყაზარ კარაპეტიანი.** (698 1—1)

„Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ“.
1860 წ. დაარსებული.
ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად
პარიზი 1900. **ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ (Ო-ᲓᲔ-ᲙᲝᲚᲝᲜᲘ,**
„საუცხოვო აკაცია“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მხიბლავი სუმბული“.
თავისებური ძლიერი, საუცხოვო და ხანგრძლივი სურნელება.
✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦
ХИМИЧЕСКАЯ С.ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРIЯ
მთავარი საწყობი: ტფილისი, საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
(23—1292—3)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:
არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.
Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.
ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევანი“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.
ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲗ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲗ
ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ
● მაღაზიას ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) და **ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ** (ტარაღანა).
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო ღოშები და ზურგიელები
ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და **ბელა-რიბიც** 50 კ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)

სტამბა „ხორმანი“, მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.